სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

15 დეკემბერი 2025

N 781/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „გიანთი ლოჯისტიკსი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2025 წლის 11 დეკემბერს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მომართა შპს „გიანთი ლოჯისტიკსი“-მ და ითხოვა „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტის ნებართვის მიღება შესაბამისი ოდენობებით:

ა) 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 2 720;
ბ) R410A (HFC-32/HFC-125) – 2 260 კგ;
გ) R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 9 592 კგ;
დ) R407C (HFC-32/HFC-125/HFC-134a) – 1 356 კგ;
ე) R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 2 260კგ.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „გიანთი ლოჯისტიკსი“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 204574503) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტისათვის შესაბამისი ოდენობებით:

   ა) 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 2 720;

   ბ) R410A (HFC-32/HFC-125) – 2 260 კგ;

გ) R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 9 592 კგ;

დ) R407C (HFC-32/HFC-125/HFC-134a) – 1 356 კგ;

ე) R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 2 260კგ.

2. ნებართვა ძალაშია მისი გაცემიდან ერთი წლის ვადით.

3. შპს „გიანთი ლოჯისტიკსი“-მ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გიანთი ლოჯისტიკსი“-ს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/781-21-4-202512151718

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE